შპს მს გლდანი

ს/კ 400287104

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024 წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში).

1.**ზოგადი ინფორმაცია**- შპს „მს გლდანი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2020 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, აკაკი ვასაძის ქუჩა, N 28 . შპს „მს გლდანი“ წარმოადგენს სწრაფი კვების ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს შაურმას, სასმელს და სხვა.. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 400287104.

2. **მომზადების საფუძვლები** - ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. წარდგენის საფუძველი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3. **ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები** - კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს. ძირითადი შეფასებები და დაშვებები ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთის კორექტირება.

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა - მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „წრფივი მეთოდით “ . მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო

სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%- იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). კომპანია ჩართულია მოგებით დაბეგვრის ე.წ. "ესტონური" მოდელის რეჟიმში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები.

დღგ კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო

კოდექსის თანახმად, დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების და ამავდროულად იყენებს წინასწარ გადახდილი დღგ-ს ჩათვლის უფლებას.

5.ხარჯების აღიარება მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. მომსახურების გაწევის დროს გაწეული ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

6.თანამშრომელთა სარგებელი- ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები- ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

8.ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები - ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. სხვა ძირითადი საშუალებები მოიცავს იჯარით აღებული მაღაზიების კეთილმოწყობას, რომელზეც ცვეთის დარიცხვა ხდება საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- მანქანა-დანადგარები 7-10 წელი

- ოფისის აღჭურვილობა 2-10 წელი

- ავეჯი და სხვა ინვენტარი 2-10 წელი

- სხვა ძირითადი საშუალებები 3-5 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალური აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია: - არამატერიალური აქტივები 3-10 წელი. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

9. მარაგები- კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ ნედლეულსა და მასალას, (სახარჯი მასალა).

10. ამონაგები - ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. კომპანია ოპერირებს, როგორც სწრაფი კვების ობიექტების ქსელი და შემოსავლებს იღებს სწრაფი კვების პროდუქტების რეალიზაციიდან, სადაც კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა სალაროსთან პროდუქტის შეძენისას, დროის გარკვეულ მომენტში. უმეტესად ოპერაციის ღირებულების გადახდა ხდება ნაღდი ფულით ან საბანკო ბარათის მეშვეობით. იშვიათ შემთხვევებში კომპანია შემოსავალს იღებს საბანკო ჩარიცხვის გზით. ამასთან, კომპანია იყენებს ქვეკონტრაქტორს, პროდუქტების მომხმარებლამდე მისატანად. როდესაც ქვეკონტრაქტორი მიიღებს პროდუქტს, კონტროლი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს

მტკიცებულებას, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი კმაყოფილდება და შემოსავალს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

მოგება ზარალის უწყისი

	2021წ.	2022წ.	2023წ	2024წ
საოპერაციო შემოსავლები	4110484.00	**1995357.80**	**4,341,691.46**	**3 597 667,99**
შემოსავალი რეალიზაციიდან	4093328	1994013,24	4,340,392.31	3 597 136,63
სხვა საოპერაციო შემოსავლები	17156	1344,56	1,299.15	531,36
არასაოპერაციო შემოსავლები				
მოგება სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	**89518.00**	**7863.40**	**86,033.16**	**12 152,55**
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	89518	7863,4	896.54	0,00
განსაკუთრებული შემოსავლები			85,136.62	7 907,55
				4 245,00
შემოსავლები სულ	**4200002.00**	**2003221.20**	**4,427,724.62**	**3 609 820,54**
საოპერაციო ხარჯები	**4251216,48**	**2337642.07**	**4,272,645.58**	**3 741 142,49**
ძირითადი მასალების დანახარჯები/გლდანი	2441901	1077263,37	903337	1 377 396,68
ძირითადი მასალების დანახარჯები/ჰუალინგი		4655,61		0,00
ძირითადი მასალების დანახარჯები/ბაკურიანი		6377,55	1,275.51	0,00
ზედნადები ხარჯები		21962,69	1,068,857.00	0,00
ლღობის ხარჯი		6710,34	65,037.63	45 117,41
პირდაპირი ხელფასი		319847,04	717,203.97	689 506,65
დამხმარე მასალების დანახარჯები საწყობი		2581,78	5,238.02	3 005,28
ცვეთა და ამორტიზაცია		256071,12	261,906.73	258 214,33
გაყიდული შეძენილი საქონელი/გლდანი		217,84	2,498.38	269 859,61
სასაქონლო–მატერიალური მარაგის კორექტირება		5958,63	303.63	21,83
რეკლამის ხარჯები		4115,76	8,977.87	9 645,17
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები			102.04	0,00
ტრანსპორტის შეკეთების ხარჯი		3144,17	1,889.94	516,95
მიწოდების სხვა ხარჯები გლოვო - ვოლტი	343755,08	126949,04	265,213.20	180 450,20
შრომის ანაზღაურება	670449	118675,69	268,727.99	235 721,97
უსაბუთო შესყიდვები			2,917.63	2 753,56
სოციალური დანარიცხები	10986,32	8344,74	18,347.12	17 852,45
საიჯარო ქირა გლდანი	374771,97	155140,67	206,351.72	262 748,57
საწყობის საიჯარო ქირა და კომუნალური			54,076.25	48 950,85
საბურთალოს იჯარა			54,764.40	56 485,39

კომუნალური ხარჯები	134398,48	82157,94	134,973.89	111 236,64
კომუნიკაციის ხარჯი	4238,82	2099,01	4,696.59	2 643,23
დაზღვევა	7575,52	550,01	4,380.98	6 912,42
რემონტი	1835,6	11598,71	10,695.07	18 081,76
მანქანა-დანადგარების რემონტი			4,632.76	0,00
საკონსულტაციო ხარჯები	36118,02	32641,11	59,370.05	32 291,21
სხვა საგადასახადო ხარჯი	8802,84	8802,84	7,803.92	4 800,49
საბანკო მომსახურება	21811,26	9379,76	3,652.50	3 054,20
ტერმინალის საკომისიო			24,183.15	32 564,18
სხვა საერთო ხარჯი	3654,83	16005,25	41,232.31	19 698,27
სამეურნეო ხარჯი	168413,35	56391,4	69,998.33	51 613,19
	22504,39			
არასაოპერაციო ხარჯები	**42590,37**	**14421,87**	**35,552.30**	**12 266,40**
საპროცენტო ხარჯები	37856,85	14415,34	33,359.87	8 004,12
ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან			220.40	0,00
ჯარიმები		6,53	1,000.00	3 804,26
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	4733,52		972.03	458,02
ხარჯები სულ	**4293806.85**	**2352063.94**	**4,308,197.88**	**3 753 408,89**
				-143 588,35
მოგება დაბეგვრამდე	**-93804.85**	**-348,842.74**	**119,526.74**	**-143 588,35**
მოგების გადასახადი	**-14070.73**	**-52326.41**	**17,929.01**	**-21 538,25**
მოგება დაბეგვრის შემდეგ	**-79734.12**	**-296516.33**	**101,597.73**	**-122 050,10**

კომპანია: შპს მს გლდანი (Gldanis Shaurma)
საიდენტ. კოდი: 400287104

საწარმოს ბალანსი	2021წ	2022წ.	2023წ.	2024წ.
დასახელება	თანხა	თანხა	**თანხა**	**თანხა**
აქტივები	**1481412.80**	**1232760.79**	**1065551.48**	**746559.66**
მიმდინარე აქტივები	**417250.13**	**341160.69**	**432876.44**	**358446,09**
მიმდინარე მოთხოვნები	**286584.50**	**224080.18**	**219970.06**	**217321,23**
მიმდინარე მოთხოვნები	**286584.50**	**224080.18**	**219970.06**	**217321,23**
გადახდილი ავანსები	**0**	**6908.70**	**6848.57**	**6854,41**
გადახდილი ავანსები	**0**	**6908.70**	**6848.57**	**6854,41**
სასაქონლო მატერიალური აქტივები	**40546.66**	**70873.79**	**84750.48**	**76426,88**
სასაქონლო მატერიალური აქტივები	**40546.66**	**70873.79**	**84750.48**	**76426,88**
სხვა მიმდინარე აქტივები	**0**	**0**	**0**	**3254,49**
სხვა მიმდინარე აქტივები	**0**	**0**	**0**	**3254,49**
ნაღდი ფული	**90118.97**	**39298.02**	**121307.33**	**54589,08**
სალარო	**15847.80**	**1554.59**	**110198.64**	**4061,98**
ბანკი	**74271.17**	**37743.43**	**11108.69**	**50527,10**
გრძელვადიანი აქტივები	**1064162.67**	**891600.10**	**632675.04**	**388113,57**
ძირითადი საშუალებები	**1062325.00**	**890130.77**	**631573.04**	**387379,91**
ძირითადი საშუალებები	**1062325.00**	**1145833,5**	**1127295,12**	**1124610,46**
ცვეთა		**-255702,77**	**-495722,08**	**-737230,55**
არამატერიალური აქტივები	**1837.67**	**1469.33**	**1102.00**	**733,66**
არამატერიალური აქტივები	**1837.67**	**1837.67**	**1837.67**	**1837,67**
ცვეთა	**1837.67**	**-368.34**	**-735.67**	**-1104,01**
პასივები	**1481412.80**	**1232760.80**	**1065551.48**	**746559,66**
მიმდინარე ვალდებულებები	**180841.50**	**223139.57**	**78361.57**	**53715,65**
მიმდინარე ვალდებულებები	**132866.00**	**228025.67**	**54902.33**	**53715,65**
მიმდინარე ვალდებულებები	**132866.00**	**228025.67**	**54902.33**	**53715,65**
მიღებული ავანსები	**0.00**	**0.00**	**0.00**	**0**
მიღებული ავანსები	**0.00**	**0.00**	**0.00**	**0,00**
მოკლევადიანი სესხები	**0.00**	**0.00**	**0.00**	**0**
მოკლევადიანი სესხები	**0.00**	**0.00**	**0.00**	**0,00**
სხვა ვალდებულებები	**47975.5**	**-4886.10**	**23459.24**	**0**
სხვა ვალდებულებები	**47975.5**	**-4886.10**	**23459.24**	**0**
გრძელვადიანი ვალდებულებები	**306546.67**	**285498.25**	**150757.56**	**0**
სასესხო ვალდებულებები	**306403.3**	**285498.25**	**150757.56**	**0**
სასესხო ვალდებულებები	**306403.3**	**285498.25**	**150757.56**	**0,00**
სხვა ვალდებულებები	**143.37**	**0.00**	**0.00**	**0**

სხვა ვალდებულებები	**143.37**	**0.00**	**0.00**	**0,00**
კაპიტალი და რეზერვები	**994024.63**	**724122.98**	**836432.35**	**692844,01**
სასესხო საწესდებო კაპიტალი	**1158848.64**	**1143275.15**	**1193675.15**	**1193675,15**
სასესხო საწესდებო კაპიტალი	**1158848.64**	**1143275.15**	**1193675.15**	**1193675,15**
გაუნაწილებელი მოგება	**13892.69**	**13892.69**	**13892.69**	**13892,69**
გაუნაწილებელი მოგება	**13892.69**	**13892.69**	**13892.69**	**13892,69**
საანგარიშო პერიოდის მოგება ზარალი	**-178716.70**	**-433044.86**	**-371135.49**	**-514723,83**
საანგარიშო პერიოდის მოგება ზარალი	**-178716.70**	**-433044.86**	**-371135.49**	**-514723,83**
რეზერვები	**0.00**	**0.00**	**0.00**	**0**
რეზერვები	**0.00**	**0.00**	**0.00**	**0,00**

დირექტორი : თ. ხორიაშვილი